ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის სხდომის

ოქმი #11

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 23 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 35 წევრი, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი გ. ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ ბიუჯეტის პროექტი გასაცნობად (იხ. დანართი 1). ბატონმა პეტრემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განმარტება მისცა ბიუჯეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. როგორც მან აღნიშნა, ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, მცირედით შეცვლილია. შემდეგ, ბატონმა პეტრემ მოკლედ მიმოიხილა ბიუჯეტის შეცვლილი მუხლები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ო. ფურთუხიამ, ნ. შათაშვილმა, ა. შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2025 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს

დასამტკიცებლად წარუდგინა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის შუამდგომლობა ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების ს/კ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის მიღების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების ს/კ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე დამტკიცდეს ი. მოდებაძე, ანაზღაურების გარეშე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი